ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3086558

ნომერი: AR1469706

თარიღი : 10.01.2017

გაცემის თარიღი : 07.02.2017

გაცნობის თარიღი : 07.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩა N24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაგრატ პაკელიანი პ/ნ 62001024700
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე, გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების მიზნით ლითონის ორი ორტესებრი კონსტრუქციის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამგორი, ჯავახეთის ქუჩა #24ა-ში, შ.პ.ს „ინვესტი -5“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #001/185), არსებული შენობის ფასადზე, გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების მიზნით, ლითონის ორი ორტესებრი კონსტრუქციის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.19.36.001.185; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სამგორი, ჯავახეთის ქუჩა #24ა-ში, შ.პ.ს „ინვესტი -5“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #001/185), არსებული შენობის ფასადზე, გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების მიზნით, ლითონის ორი ორტესებრი კონსტრუქციის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.